

აზიანდილ არაბული

კვლავ ზმნური სუპლემენტიზმის ერთი უკველესი  
 მოვლენისათვის ქართულში

ქართულ ანდაზებს შორის ერთი ასეთიც დასტურდება:

„ერთს **მომგვარე** ჰქვია, ორს - **მომისხიო**“ („ქართ. ანდაზები“, გვ. 49).

ფრიად ნიშანდობლივია, რომ ანდაზების დიდაქტიკა ენის ისეთ რთულ უბანსაც მისწვდომია, როგორც ფუძეთა სუპლემენტური მონაცვლეობაა.

ეს ანდაზა ერთ რამეზე უცდომლად მიანიშნებს: სუპლემენტიზმის დაცვა ენის შინაგანი ბუნების ერთ-ერთი ობიექტური მოთხოვნაა. პარადიგმატული სუპლემენტიზმის შემთხვევები ნებისმიერი ენის გრამატიკულ სისტემაში წარმოადგენს ერთ-ერთ გამორჩეულად სპეციფიკურ უბანს და მათი რყევა ენაში, ჩვეულებისამებრ, მკვეთრ სისტემურ ცვლილებად აღიქმება.

სუპლემენტიზმი, ფუძეთა სუპლემენტურობა (ფრანგ. *suppletif* „დამატებითი“) გულისხმობს სიტყვის ძირის მონაცვლეობას პარადიგმის ფარგლებში გრამატიკული დანიშნულებით. ასეთი მონაცვლეობის მაგალითები, ჩვეულებისამებრ, იშვიათია და ოდინდელი ფორმაციისაა, რაც უფრო აძლიერებს ინტერესს ამ მოვლენის მიმართ. სუპლემენტიზმი დამახასიათებელია როგორც სახელური (კერძოდ, ნაცვალსახელის), ისე ზმნური ფორმაწარმოებისათვის, მათს სხვადასხვა ქვესისტემაში.

ფუძეთა სუპლემენტურობის გამოვლენის ერთ-ერთ ნიშანდობლივ უბანს ქართულში წარმოადგენს ე.წ. რიცხვში მონაცვლე ზმნები. როგორც ცნობილია, ეს მონაცვლეობა ხდება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მრავლობითთან (სიმრავლესთან) „შეთანხმებით“: **ზის — სხედან, დაჯდა — დასხდნენ; დასვა — დასხა, დააგდო — დაყარა** და მისთ.

არსებითად ყველა ის ზმნა, რომელიც კი ახალ ქართულში სუპლემენტურობას ავლენს, უძველესი დროიდანვე არის ამ ბუნებისა. თუ გავითვალისწინებთ შესაბამის ძირთა სიძველეს და იმას, რომ მათ ნაწილს ქართველური რეფლექსები უვლინდება (მაგალითად, აღდგენილია \***სხ-** „დასხმა“ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 425] და \***სუ-** „დასმა“ [ჩუხუა 2000-2004] არქეტიპები), შესაძლებელი ჩანს სუპლემენტიზმის საერთოქართველური პოსტულირება. როგორც ჩანს, სუპლემენტიზმი სისტემურად და მასალობრივ ნაკლებ ექვემდებარებოდა ენაში მიმდინარე დიაქრონიულ ცვლილებებს, თუმცა ზოგი ამ რიგის ფაქტი დროთა განმავლობაში მაინც დაიკარგა ან შეიზღუდა.

ა. შანიძე ძველი ქართული ენის შესახებ წერს:

„რიცხვში მონაცვლეობა ხდება სუბიექტური პირის მიხედვით ან პირდაპირ-ობიექტური პირისა. გარდაუვალი ზმნები მონაცვლეობენ სუბიექტური პირის რიცხვის მიხედვით, გარდაუვალი კი — პირდაპირ-ობიექტური პირის რიცხვის

მიხედვით. ამასთანავე, თუ პირდაპირი ობიექტი მრავლ. როცხვშია და ზმნა II სერიის მწკრივში, აუცილებელია, რომ ზმნაში ობიექტის რიცხვი აისახოს (ენს): აღვიღე ქვა — აღვიხუენ ქვანი, აღიღო ქვა — აღიხუნა ქვანი.

რიცხვით, რომ ვამბობთ, იგულისხმება მხოლოდითი და ნ-არიანი მრავლობითი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ზმნა, რომელიც მრავლობითი რიცხვისთვისაა განკუთვნილი, შეიძლება მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირის ფორმითაც იხმარებოდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მასთან შეწყობილი სახელი კოლექტიურია (მაგ. „ერი“, „გუნდი“, „სიმრავლე“)“ (შანიძე 1976, 130).

იგულისხმება „განასხ-ნ-ა ივი-ნ-ი“ — „განასხა ერი“ ტიპის ოპოზიცია.

აქვე აზრობრივი შეთანხმების ნიმუშად ა.შანიძეს მოჰყავს საინტერესო ფაქტი:

„დასხმა“ ითქმის სამოსელზედაც, რომელიც გაგებულია, როგორც კოლექტიური სახელი: და მოჰგუარეს ვირი და კიც მის თანა და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და დაჯდა იესუ მას ზედა (მ. 21, 7); დამისხენ საჯე-დარსა, და მე თვთ წარვიდე (იოვ. და ეფთ.). დამისხენ საჯედარსა = შემიკაზმე საჯედარი (ცხენი, ჯორი, ვირი) (შანიძე 1976, 131).

ძირითადი სუბლექტური ფუძეები ძველ ქართულში (მასალობრივ ვაჩვენებთ მხოლოდ მრავლობითში მონაცვლე ფუძის მაგალითებს, ისიც — უფრო ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც ძირის მონაცვლეობის მოტივი არა გრამატიკული, არამედ შინაარსობრივია: კრებილობა და მისთ.):

ა) ფუძე ანგარიშს უწევს სუბიექტის სიმრავლეს:

**ზი-| ჯედ-| სხედ-**: *ორნი ბრმანი სხედეს გზასა ზედა (DE მთ. 20, 30);  
რომელნი სხენან ბნელსა (ლ. 1, 79).  
ერი ესე, რომელი სხედს მთასა მას (O ივდ. 5, 3).*

**ვარდ-| ცვიგ-**: *ორნივე მთხრებლსა შთაცკვიან (მთ. 15, 14);  
წარსცკვეს ორნი ქვანი (ზარზმ. 177, 20);  
ოფლი ცკვოდა პირთა მათთა (სპევს. 334, 79);  
მოსცკვა თმაჲ მიერ (კიმ. 1, 277, 33).*

**უ-ვი-ს| უ-სხ-ენ(-ან) | ე-სხ-ნ-ეს**: *მისხენ ხუთნი ძმანი (ლ. 16, 28);  
კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე (მ. 21, 28).*

**სხ-** ძირი განსაკუთრებით აქტიურია სუბლექტური მონაცვლეობის დროს — ის მხოლოდითის გამომხატველ რამდენიმე ძირს ეწყვილება, მაგ.:

**ღევ-| ძევ-| სხ-ენ-**: *ყოველნი, რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ...  
(ი. 5, 28).  
შდრ.: ერი დაესხმოდა მას სმენად (ლ. 5, 1).*

**ბ- |სხ-**: *რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ (მ. 11, 15);*

ღუინისა და უსხმელისა ვენაჯისაგან გამოწნეხილისა მიერ გან-  
შუენდა (თარგმ. ქებ. ქებ. 392, 7-8).

**კუედ-| წყდ- [სრ-გ]:** რადთა მოვსწყდეთ ჩუენ და საცხოვარი ჩუენი  
(G, რიცხ. 20, 5);

მოისრნენ დიდ-დიდნი და მცირედნი  
(O, იერემ. 16, 6). (აქ რეგულარობა ნაკლებია,  
ამიტომაც იშვიათად ასახელებენ; შდრ.: მოკუდენ  
დიდნი და მცირენი (pb. იერემ. 16, 6).

ბ) ფუძე ანგარიშს უწევს ობიექტის სიმრავლეს:

**სუ-| სხ-:** ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი (ლ. 16, 9);  
ასხნა იგინი კარაულეზსა (O, გამოსლ. 4, 20);  
და შემსხნა ჩუენ საპყრობილესა (დაბ. 41, 10).

**ძ- (გდ-) | სხ-:** განასხნა უფალმან ამორეველნი (M, ისუ ნ. 24, 18);  
ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი (მარკ. 5, 40).

**დევ- (დ-ებ-)| სხ-:** ჯელნი და ისხენით პირსა (იობ. 21, 5);  
და ასხან შეშად ცეცხლსა მას ზედა (O ლევიტ. 1, 7).  
ბზე მოსხმული ქვათა ზედა (A-689, 231 r).

**დ- | სუ-:** მოვიხუენ ორნივე იგი ფიცარნი (M II შჯ. 9, 17).  
პოვნა სამნი ჯუარნი დაფლოლნი, აღმოიხუნა და შეიხუნა  
იგინი ქალაქად (სინ. 242, 14);  
მაშინ განუხუნა გონებანი მათნი (ლ. 24, 45).

**დევ- (დ-ებ-)| წყვ-:** დაიწყვნის ფრთენი თჳსნი (სინ.-97, 46r);  
რადთა დააწყვენ შეშანი ცეცხლსა ზედა  
(G ლევიტ. 1,7).

**გდ- სუარ-:** დაიყარეთ მტუერი ფერჯთაგან თქუენთა (მარკ. 6, 11).  
განყარნე მტერნი ჩემნი (M მსჯ. 16, 20);  
განყარნეს ჯელნი (ზირ. 22, 15).

**გდ-| თხევ-:** სიღრმისაგან უფსკრულისა გამოთხინა იგინი  
(სიბრძ. 10, 19);  
განსთხიენ ჩემგან ყოველნი ცოდვანი (ეს. 38, 17).

**კალ-| წყუედ-:** სწყუედდეს საკლავებსა (II ნეშტ. 7, 5);

**კალ-| სარ-:** მოსრნა მამად თჳსი და დედად თჳსი (ფლკტ. 145, 30);

თქუნ მოჰსართ ერი უფლისად (G, რიცხ. 16, 41).

**კალ-| ჯოც-**: სიძე-სძალნი დავჯოცენ (მ. ცხ. 152 v);  
ვითარცა დაჯოცნეს ივინი (მ. ცხ. 404 r) .

შესაბამისი ფორმაწარმოების უფრო სრულად გათვალისწინება ბევრად უფრო რთულად წარმოგვიდგენს ამ შედარებით უკვე ნარევ სურათს. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველ სისტემაში ამგვარი პარალელიზმი არ იქნებოდა დამახასიათებელი. ამავე დროს, იშვიათი — სუბლექტური და ჩვეულებრივი — წმინდა მორფოლოგიური სისტემის თანაარსებობა განაპირობებდა აღრევებს („პარადიგმის გასწორებას“) ძველ ქართულშივე. ა. შანიძე საგანგებოდ მიუთითებს ამგვარ იშვიათ ფაქტებს:

სიკუდილით მოკუე დინ ორნივე (Q -1152, 61r);  
ცანი განღებულ არიან შენდა (Ier.-156, 147v);  
ცხენნი ნუ არა გიდვანა (Sin.-62, 44 v);  
ადვილოთ რტოები ზეთის ხილისად (ხანმ. მრავალთ. 134. 12-13ბ)  
(შანიძე 1976, 131).

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ასევე აღნუსხულია ფუძემონაცვლე ზმნათა თანამედროვე მდგომარეობა (ისტორიის გათვალისწინებით). სუბიექტის მიხედვით რიცხვში მონაცვლეთაგან დასახელებულია ორი ზმნა: **ჯდომა — სხდომა, ვარდნა — ცვივნა**; ხოლო ობიექტის მიხედვით მონაცვლეთაგან: **გდება — ყრა, სმა — სხმა, ბმა — სხმა, დაცემა — დასხმა, კვლა — ხოცა, გდება — რეკა, ყვანა — სხმა, დება — სხმა, ღება — ხუმა**. დამატებით არის მითითებული ზოგი სხვა ფუძის ანალოგიურ შესაძლებლობაზეც: **დამტვრევა, აკრეფა, შეკრება, შექურება, შეყრა, შეჭაფუფება, ამოწყვეტა, გაუღეტა...** (შანიძე 1980, §549). ამავე დროს, ცალკეულ ფუძეებთან დაკავშირებით მეცნიერი მიაჩნებს ამგვარი სისტემის შერყევის ტენდენციასზე (**გდება — ყრა, კვლა — ხოცა, დება — სხმა...**) (იქვე).

არსებითია ის, რომ წარმოდგენილ ფუძეთა უმეტესობა ძველი ქართულიდან უცვლელად მოსდევს სალიტერატურო ქართულს და ოპოზიციის ძირითადი წესი (სუბლექტურობა) შენარჩუნებულია.

ამ რიგის სუბლექტივიზმის სპეციფიკას განაპირობებს ის გარემოება, რომ ამგვარ ზმნათათვის, მორფოლოგიურთან ერთად, რიცხვში აზრობრივი შეთანხმებაც არის დამახასიათებელი; ანუ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც კრებითი და რიცხვის გამომხატველი სახელი განმაპირობებელია ოდენ ფუძის სუბლექტური მონაცვლეობისა (რიცხვის მორფოლოგიური გამოხატვის გარეშე).

ამგვარად, დასტურდება შეთანხმების სამგვარი შემთხვევა:

მხოლოდითი: *მეომარი ნავში ჩა-ჯდ-ა.*

მრავლობითი: *მეომრები ნავში ჩა-სხდ-ნენ.*

აზრობრივი: *რაზმი ნავში ჩა-სხდ-ა.*

ამ ბოლო შემთხვევის, ანუ კრებით სახელთა მსგავსად, აზრობრივი შეთანხმების უნარს, ჩვეულებისამებრ, ავლენს მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგენილი რიცხვითი სახელიც: *ნავში ორი მეომარი ჩასხდა.* აზრობრივი შეთან-

ხმების მაგალითებზე საგანგებოდ მიეთითება:

*ავარდა გიგო ურემზედ და გადმოიტაცა ვანო ძირსა. შემდეგ აქეთ და იქით მოუსხა ორი გლეხკაცი და გამოისტუმრა ურემი წინა (ნ. ლომ.);*

*დავკალი ერთი ცხვარი, დავხოცე ოთხი-ხუთი ქათამი (ვაჟა);*

*ორსავე ყბაში წინ ოთხ-ოთხი ბასრი ანუ წვეტიანი კბილი სხედს (ი. გოგებ.).*

ა. შანიძე საგანგებოდ ჩერდება „ყრა“ ფუძის პირვანდელი ფუნქციის დაკარგვაზე: „ზოგ შემთხვევაში ამ ფუძის ზმნას მოაკლდა ძალა, პირდ. ობიექტი მრ. რიცხვში შეიწყოს: თუ სულხან ორბელიანისათვის ჩვეულებრივი იყო გამონათქვამი: „ექვსი ზარბაზანი გაყარეს“ („მოგზ. ევროპაში“, 1940, გვ. 34), ესლა ამგვარი გამონათქვამი უკვე მოძველებულად ეჩვენება კაცს; მის მაგივრად ამბობენ: „შვიდი ზარბაზანი გააგდეს“; „დღეს სახალხო არმიის სახენიტო არტილერიამ და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს ექვსი თვითმფრინავი“ („კომუნ.“ 24. 03. 53) (შანიძე 1980, §549).

ქეგლ-შიც ყველა შესაბამის შემთხვევაში საგანგებოდ არის ხაზგასმული სუბლექტივიზმის ეს აუცილებელი რგოლი. მაგ.:

**შესხდებ-ა** (შესხდა, შემსხდარა) გრდუვ. ვნებ. (ჩვეულებრივ, მხოლოდობითის ფორმით იხმარება ისეთ სუბიექტთან, რომელიც გამოხატულია (ან განსაზღვრულია) კრებითი ან (ერთზე მეტი) რიცხვითი სახელით, მრავლობითის ფორმით კი — მრავლობითში დასმულ სუბიექტთან) ... *ფრინველნი გაიფანტნენ: ზოგი ხეებზე შესხდა, სხვა მალლა ტრიალებდა (ვაჟა).*

სუბლექტივიზმის მითითებულ სისტემას ძველ ქართულში განამტკიცებდა ის, რომ არქაული (ნართანინი) მრავლობითი ზმნაში ასახვას ჰპოვებდა როგორც სუბიექტის, ისე პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში:

*დაჯდა (იგი) — და-სხდ-ეს (იგინი)*

*დასტა (იგი) — და-სხ-ნ-ა (იგინი)*

ამგვარად, სიმრავლის აზრობრივი (სუბლექტური) და მრავლობითის გრამატიკული (აფიქსური) გამოხატვის თვალსაზრისით ჩამოყალიბდა სამწვეროვანი სისტემა:

**დაჯდა (იგი) — დასხდა (იგი-კრებითი) — დასხდნენ (იგინი)**

**დასტა (იგი) — დასხა (იგი-კრებითი) — დასხნა (იგინი)**

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ზმნაში ასახვის მოშლამ არსებითად შეარყია ეს სისტემა, კერძოდ, ერთმანეთს დაემთხვა აზრობრივი (სუბლექტური) და მორფოლოგიური შეთანხმება: *დასხა ყველა (ხუთი) სტუმარი // სტუმრები.* აქ უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ რყევა შემდგომ სწორედ პირდაპირი ობიექტის სუბლექტურ გამოხატვას შეეხო.

ტენდენციის არსი სრულიად ნათელია: რაკი ენაში სუბლექტივიზმის აზრობრივი (სემანტიკური) საფუძველი იშლება („გუნდი ჩაჯდა“, „ხუთი ბიჭი ჩაჯდა“), ამას ლოგიკურად მოსდევს ამ შეთანხმების გრამატიკული (მორფოლოგიური) მოტივაციის მოშლაც — სათანადო შედეგით („ბიჭები ჩასვა“, „ბიჭები ჩაჯდნენ“...).

რამდენადაც პარადიგმატული უნიფიკაციის ანუ სუბლექტივიზმის მოშლის, ტენდენცია საკმაოდ არის თანამედროვე ქართულში გამოკვეთილი (მაგალითად, სულ უფრო ხშირად შევხვდებით მსგავს მაგალითებს: „*რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში რუსმა მესაზღვრემ დენის სოლოვიოვმა მ თანამებრძოლი მოულოდნელად მოკლა*“ — „კვირ. პალიტ.“ 2. XII. 2002) და ამით პრინციპული ცვლილება შეეხება ენის გრამატიკული სისტემის მეტად სპეციფიკურ უბანს, ვფიქრობთ, მით უფრო აქტუალურია მისი ნორმატიული რეგულირების აუცილებლობა.

ამ თვალსაზრისით, უთუოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სუბლექტური მონაცვლეობის იმ უმთავრეს რგოლს, რომელიც აზრობრივ შეთანხმებას ანუ ძირის მონაცვლეობას გულისხმობს რიცხვის მორფოლოგიური ცვლილების (შეთანხმების) გარეშე. ეს შეეხება როგორც შეთანხმების უნარის არმქონე **-ებთან** მრავლობითებს, ისე კრებითი და რიცხვითი სახელებით გამოხატულ სიმრავლეს. ტიპობრივი მაგალითები, მათ შორის — უახლესი სალიტერატურო ქართულიდან:

*ღმერთო, ჩემი კაბით დასხი იმ აძლღებული ჰიტლერის ცოლ-შვილი* (ნ. შატაძე);

*გაცივდა პურმარილი; ვერ დაეკსხი აი ხალხი სუფრასთან* (ტ. „ივერია“);

*თითო გვერდში სამი ახალი პერსონაჟი შემოჰყავს, მერე ბოლოს ყველას ერთად დასხამს* („თბილ. ფორ.“);

*მიხომ იყიდა „პორშე“; ჩასხა შიგ მამა, ძმა, ბიძა...* („რუსთავი-2“);

*შება ურემი, ჩასხა შიგ ცოლი და შვილი* (ნ. ლომოური);

*გაულო მანქანის კარი და ჩასხა სათითაოდ* (ნ. შატაძე);

*წადი, იქვე ჩასხი, თორემ დაიხოცებიან [ღლაპები]* (შ. არაგვისპ.);

*ქალთამზე უყვება, რომ ჩაღხო მაცურებს დახვდა, დასხა* (ვაჟა);

*ბატონმა სელაპიონმა თავგები გულისჯიბით მიიყვანა სახლამდე, დასხა ხალიჩაზე და ცოლს ამცნო* („კვირ. პალიტ.“).

*უნდა დასხა ნამდვილი იურისტები, ფსიქოლოგები და კრიმინოლოგები* („თბილ. ფორ.“).

*ჩემმა დიასახლისმა სტუმრები კაკლის ძირას სკამებზე დასხა* (ჭ. ამირეჯ.);

*რამდენიმე პოლიციელი მანქანებში ჩასხა* („ქართ. საფიხ.“);

*მეგობარმა პოლიციელმა გზა გაკაფა მათთვის და რინგის ახლოს დასხა* (ლ. გაჩეჩილ. თარგმ.).

*დასხა ხუთივენი სუფრაზე მალრიბის ხელმწიფემ* („სიზმარა“);

*ხუთივე მაგიდასთან მიაცილა, დასხა...* (ა. სულაკ.);

*შემოვიდა და დასხდა ასე 50-მდე ადამიანი* („რუსთავი-2“);

*გოგო და ბიჭი სკამზე დასხდა, ერთი თავში, მეორე — ბოლოში* („თსუ“);

*როგორც იქნა, უმეტესობა დასხდა თავ-თავიანთ ადგილებზე* („ქართ. საფიხ.“);

*დასხდება ორი კაცი, სვამენ და რაც უფრო მალე დათვრებიან,*

*მით უკეთესი („თბილ. ფორ.“);  
 ჩვენში 3 კაცი რომ დასხდება ერთად, უკვე ერთმანეთის ჭამას  
 იწყებენ („თბილ. ფორ.“);  
 ერთ ღღეს ერთ ვაგონში, ერთ დასაჯდომ ადგილს, ორი ვოგონა  
 დასხდება („ანიმე“);  
 ზოგი ხეებზე შესხდა, სხვა მაღლა ტრიალებდა (ვაჟა);  
 როცა გათენდა, ბიძა-ძმისწული ცხენებზე შესხდა და  
 დაყუდების ადგილს დაუბრუნდა („ბეთლემი“);  
 ორივე ნილბიანი „მაზდის“ მარკის ვერცხლისფერ მანქანაში  
 ჩასხდა („24 საათი“);  
 200 ფრაგი ჯარისკაცი ღღეს ბეირუთის პორტში გადასხდა  
 („ამერიკის ხმა“);  
 ვიდრე იმ ბედითი შუბის ნატეხებში ძირს დაცვივა (მ. მოსულიშვილ.);  
 შეშინებული ხალხი ერთმანეთის მიყოლებით დაცვივდა მიწაზე  
 (თ. თოფურ.);  
 დაცვივდა ფერფლად შენი სხეული (შ. კარმ.);  
 ჯაფრიამ მშვილდი და კაპარჭი ძირს დაყარა („კარავი“);  
 სეტერმა 7 ლევნი დაყარა („თბილ. ფორ.“).*

### ლიტერატურა

**შანიძე 1976** — ა. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

**შანიძე 1980** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.

**ქავთარაძე 1946** — ი. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში. — იკე, 1, თბილისი, 1946.

**ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996** — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

**ქეგელ 1950-1964** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I — VIII, თბ., 1950-1964.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**„ქართ. ანდაზები“** — ქართული ანდაზები, შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემელ. გაბრიჩიძის მიერ, თბილისი, 1935.

**ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

## AVTANDIL ARABULI

**Again on a Very Old Phenomenon of the Verbal  
Suppletion in Georgian**

## S u m m a r y

Suppletion or alternation of the verb root within one paradigm is characteristic for the old Georgian verbs. Such process takes place in certain verbs during the changing the number of a subject and an object as well. For example: da-**su**-a (igi) - "He sat him/her down" - da-**sx**-a (isini) "He sat them down".

In historical Georgian language three-membered system has been formed owing to simultaneous expressing of the suppletive alternation and the morphological number.

For example: **daḡda** (igi) "He/she sat down" - **dasxda** (igi - collective) "They sat down" - **dasxdnen** (igini) "They sat down";

**dasva** (igi) "He/she sat him/her down" - **dasxa** (igi - collective) "He/she sat them down" - **dasxna** (igini) "He sat them down".